სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №7

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 25 ივლისს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 12:00 სთ-ზე).

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლევანი უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ - ირაკლი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიგა წურწუმია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლევანი ჯინორია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - მანანა გვიჩია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - შაქრო კოკაია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ელიზბარი ოდიშარია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - კაპიტონი ტორჩინავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ყურაშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - მირანდა მირცხულავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - ბორისი სოსელია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე - ირაკლი კაჭარავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე - ედიშერ ბაღათურია; საკრებულოს წევრები: მარინე ნანეიშვილი; ირაკლი ცხვიტავა; ბადრი შარტავა; მაია ფირცხალავა;; ია აბულაძე; გოგიტა ოდიშარია; საბა სირია; სულხანი ხუნწარია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: ნანა ზარანდია; სოსო მორგოშია; ჯ. ლაშქარავა; ე. კვაშილავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივლისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივლისის სხდომის **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების და სქემატური რუკის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის N35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

3. ა.(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა

4. ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა

5. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-9 ქუჩის I და II ჩიხებისათვის გივი ფანცულაიას სახელის მინიჭების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა** :

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივლისის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების და სქემატური რუკის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის N35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

3. ა.(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა

4. ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა

5. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-9 ქუჩის I და II ჩიხებისათვის გივი ფანცულაიას სახელის მინიჭების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების და სქემატური რუკის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის N35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების და სქემატური რუკის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის N35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

აზრი გამოთქვეს: ბ. სოსელია; ი. კაჭარავა; ე. ბაღათურია; ნ. ზარანდია; ს. ოდიშარია.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1.

„სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების და სქემატური რუკის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 04/05/2021; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.108.016477) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: გეჯეთი, საოჩიგაო - ჯიხირი, ნაფაცხუ, საჯღამაიო - საკოხიო, მეურნეობის ახალი დასახლება);".

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მოისმინეს: 3. ა.(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – ა.(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გ. ოდიშარია; მ. ფირცხალავა; ი. კაჭარავა; ე. კვაშილავა; ს. ოდიშარია.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს წევრმა მაია ფირცხალავამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 22; წინააღმდეგი – 3) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ა.(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის" საქმიანობა 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, ა.(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის სფეხბურთო კლუბს".
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 4. ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – „ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე".

აზრი გამოთქვეს: გ. ოდიშარია; მ. ფირცხალავა; ი. კაჭარავა; ე. კვაშილავა; ს. ოდიშარია.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 24; წინააღმდეგი – 2) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ა.(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების" საქმიანობა 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, ა.(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის საპორტო გაერთიანებას".
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 5. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-9 ქუჩის I და II ჩიხებისათვის გივი ფანცულაიას სახელის მინიჭების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-9 ქუჩის I და II ჩიხებისათვის გივი ფანცულაიას სახელის მინიჭების თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-9 ქუჩას და მე-9 ქუჩის I და II ჩიხებს ეწოდოს **„გივი ფანცულაიას“** სახელი. (ორთოფოტო თან ერთვის)
2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების, ფირნიშების, რუკების (არსებობის შემთხვევაში) ცნობარების და სხვ. დამზადება, კორექტირება, გავრცელება და სხვ.).
3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს დაევალოს განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში საკრებულოს გადაწყვეტილება გაუგზავნოს სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას,აგრეთვე უზრუნველყოს სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ვებგვერდზე.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. 247).

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია